

**Academia Europaea-ს თბილისის ცენტრის (ჰაბის) 2020 წლის
წლიური ანგარიში**

წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრის (ჰაბის)“ მიერ 2020 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიშს.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 2020 წელი გლობალური გამოწვევებითა და განსაკუთრებული სირთულეებით აღსავსე აღმოჩნდა არა მხოლოდ ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, რამაც განაპირობა მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება როგორც ჰაბის სამოქმედო გეგმაში, ასევე - ბიუჯეტის პროექტშიც. მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, ჰაბის ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება.

1. გამორჩეული სემინარების სერია - „გზაჯვარედინები“

მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ორგანიზებით, გასული წლის მანძილზე ჩატარდა ოთხი საჯარო სემინარი ციკლიდან „გზაჯვარედინები“, რომელთა მიზანი გახლდათ მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია, დროისა და სივრცითი ბარიერების მიღმა იდეების გაზიარება, ასევე სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის. აღსანიშნავია, რომ სემინარების სერიაში გაერთიანდა გამოჩენილი მეცნიერებისა და ახალგაზრდა მოაზროვნეების მოხსენებები. გლობალური პანდემიის პირობების გათვალისწინებით, აღნიშნული სემინარები ჩატარდა ელექტრონული პლათფორმების გამოყენებით.

1.1 გამორჩეული სემინარების სერიის ფარგლებში, 2020 წლის 26 მაისს, გაიმართა საჯარო სემინარი სახელწოდებით: **„გზა დამოუკიდებლობისაკენ - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 102 წლისთავი“**. აღნიშნულ სემინარზე, Academia Europaea-ს თბილისის ჰაბის აკადემიური დირექტორის, პროფ. დავით ფრანგიშვილის წარდგინებით, მოხსენებები წაიკითხეს: ბექა კობახიძემ - ოქსფორდის უნივერსიტეტი, რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის ცენტრი; ირაკლი ხვადაგიანმა - საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია და გიორგი ასტამაძემ - კარლსრუეს ტექნოლოგიური ინსტიტუტი (გერმანია). სემინარი მოიცავდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და არსებობის არასრულ სამწლიან პერიოდს. საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მისი მემკვიდრეობა დღევანდელი ქართული სახელმწიფოსათვის ფასდაუდებელი გამოცდილება და სიამაყის საგანია.

1.2 2020 წლის 27 ნოემბერს გაიმართა მორიგი საჯარო სემინარი სახელწოდებით: **„აშშ-ს საარჩევნო სისტემა და 2020 წლის არჩევნები“**, სადაც მომხსენებლები გახლდნენ: თეიმურაზ პაპასკირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო

ინსტიტუტის ხელმძღვანელი; ვასილ კაჭარავა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი; სოფო კობახიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი (მენეჯერი) და გიორგი ლაბაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი. სემინარი წარმართა იმ სუპერსახელმწიფოს საარჩევნო სისტემის სპეციფიკის, თავისებურებებისა და მიმდინარე საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური პროცესების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან კლიმატს ქმნის საერთაშორისო ურთიერთობებში და განსაკუთრებით, ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნებთან მიმართებაში.

1.3 2020 წლის 10 დეკემბერს გაიმართა შემდეგი სემინარი თემაზე: **„ქართული ხელნაწერების ისტორიიდან“**, რომელიც წარმოადგინეს ნესტან ჩხიკვაძემ - კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა, დარეჯან თვალთვაძემ - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის ხელმძღვანელმა და მაია მაჭავარიანმა - კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა. სემინარში საუბარი შეეხო ქართული კულტურული მემკვიდრეობის, მისი მრავალფეროვნებისა და მნიშვნელობის შესახებ საკითხებს.

1.4 რიგით მეოთხე სემინარი გაიმართა 2020 წლის 22 დეკემბერს, თემაზე: **„KM3NeT-ევროპული საკვლევი ინფრასტრუქტურა ხმელთაშუა ზღვაში“**, რომელიც წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, თსუ-ს მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერთანამშრომელმა - რევაზ შანიძემ. სემინარი გახლავთ მოკლე მიმოხილვა იმ დიდი პროექტისა, რომელიც ხორციელდება KM3NeT თანამეგობრობის მიერ, ხმელთაშუა ზღვაში არსებული საკვლევი ინფრასტრუქტურის მეშვეობით და მიზნად ისახავს ნეიტრინული ფიზიკისა და ასტროფიზიკის კომპლექსურ შესწავლას.

2. სამუშაო შეხვედრა და პროექტის წარდგენა - „გელათის აკადემია - მეცნიერებისა და განათლების კერა, ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბის) მიერ 2020 წლის ოქტომბერში, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში, დაიგეგმა ღონისძიება. თუმცა, აღნიშნულ პერიოდში დასავლეთ საქართველოს რეგიონებში არსებული სიტუაციის, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიისა და მისი თანმდევი პროცესების გათვალისწინებით, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელობამ, მონაწილეთა

უსაფთხოვების მიზნით, მართებულად მიიჩნია ლოკაციის შეცვლა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის ნაცვლად, ღონისძიების კახეთის რეგიონში გამართვა.

2020 წლის 3-4 ოქტომბერს, თელავის მუნიციპალიტეტში, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბის) ორგანიზებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამავე უნივერსიტეტის ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ცენტრის მონაწილეობით, შედგა გასვლითი სესია, სადაც მოხდა პროექტის წარდგენა, სახელწოდებით: „გელათის აკადემია - მეცნიერებისა და განათლების კერა, ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“, რომლის ფარგლებში განხორციელდა პროექტის მონაწილეების პირველი სამუშაო შეხვედრა.

საკუთრივ პროექტის მიზანია, ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას გააცნოს გელათის აკადემია, როგორც ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი. ასევე, აღნიშნული თემის გარშემო არსებული კვლევების შეჯამების და კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, შუა საუკუნეების მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებაში, აკადემიის წვლილის წარმოჩენა.

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებმა:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თსუ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი
- თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი
- გელათის მეცნიერებათა აკადემია
- კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
- გ. ჩუბინაშვილი სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
- ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქეოლოგიური ნაკრძალის მმართველობა.

მონაწილეებმა ისაუბრეს პროექტის შესახებ, დასახეს მიზნები, განსახორციელებელი სამუშაოები, გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები.

3. KM3NeT საერთაშორისო თანამშრომლობის სამეცნიერო-შემოქმედებითი კონკურსი „დამიხატე ნეიტრინო“

გასულ წლის დასაწყისში გამოცხადდა KM3NeT საერთაშორისო თანამშრომლობის სამეცნიერო-შემოქმედებითი კონკურსი „დამიხატე ნეიტრინო“, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოს მასშტაბით გახლდათ Academia Europaea-ს თბილისის ცენტრი. კონკურსი მოიცავდა სამ ასაკობრივ კატეგორიას:

I კატეგორია - „ნორჩი ფიზიკოსები“ - 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, რომლებსაც დაევალათ ელექტრონული ნეიტრინოს დახატვა;

II კატეგორია - „თინეიჯერები“ - 13-19 წლის ასაკის მოზარდების კომპეტენციაში შევიდა მუონური ნეიტრინოს დახატვა;

III კატეგორია - 20 წლიდან ზევით კი “Tau Neutrino”-ს ნახატის ფორმით წარდგენა.

28 თებერვალს და 2 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ევროპის აკადემიის თბილისის ცენტრის წარმომადგენლებისა და სხვა თანაორგანიზატორების მიერ ჩატარდა თემატური ლექციები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში. ხოლო 2020 წლის 4 ნოემბერს კი გაიმართა დაჯილდოვების ცერემონია, რომელიც მსოფლიოში შექმნილი პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, ელექტრონული პლათფორმის მეშვეობით ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღო 16 ქვეყნის 500-მა წარმომადგენელმა.

საქართველოს მასშტაბით ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებული ნახატების 8 ავტორი სამი ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, რომელთაგან ორი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია. ქართველი მონაწილეები წარადგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორმა - რევაზ შანიძემ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი“ გახლავთ ის სივრცე, რომელიც რეგიონში უზრუნველყოფს მეცნიერული ცოდნის გენერირებას, გავრცელებას, პოპულარიზაციას, გამოჩენილი მეცნიერებისა და მათი ახალგაზრდა კოლეგების ურთიერთთანამშრომლობას, ევროპული სტანდარტებისა და მექანიზმების გაზიარებას.